გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე N 2/ბ-599-2023

20 დეკემბერი 2023 წელი
ქ. ქუთაისი

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე (მომხსენებელი): ირმა პერანიძე
მოსამართლეები: მალხაზ ჩუბინიძე
ინდირა მაშანეიშვილი

სხდომის მდივანი - ეკატერინე ქორიძე

აპელანტი: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია
წარმომადგენელი: ლეილა გურგუჩიანი
მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე): შპს ,,ელიტ ბილდერს გრუპი"
წარმომადგენელი: დავით ბაღდავაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ცაგერის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს ,,ელიტ ბილდერს გრუპის" წარმომადგენელმა, მოპასუხედ დაასახელა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია და მოპასუხისათვის თანხის დაკისრება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 13 ივლისის განჩინებით, შპს ,,ელიტ ბილდერს გრუპის" სარჩელი ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე, განსახილველად გადაეცა ამბოლაურის რაიონულ სასამართლოს.

1.1. სარჩელის საფუძვლები: მოსარჩელეს მითითებით, 2020 წლის 21 სექტემბერს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა აუქციონის გარეშე N200009919 ელექტრონული ტენდერი, რომლითაც ყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ცაგერის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი დანიშნულების ქ. ცაგერისა და სოფელ გვესოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღიშნული ტენდერის ფარგლებში, 2020 წლის 21 სექტემბერს, ცაგერის მუნიციპალიტეტსა და შპს „ელიტ ბილდერს გრუპს" შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N208 ხელშეკრულება.

აღნიშნული ხელშეკრულების მე-2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 1 435 178 ლარი, ხოლო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ 2021 წლის 07 დეკემბრის შეთანხმების აქტით, სამუშაოთა შესრულების ვადა განისაზღვრა 2020 წლის 21 სექტემბრიდან-2021 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდი.

1.2. შპს ,,ელიტ ბილდერს გრუპის" მიერ სამუშაოები დასრულდა ხელშეკრულებასთან და შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვასთან სრული შესაბამისობით, რაც დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტებითა და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნებით, თუმცა სამუშაოებზე დაფიქსირდა გეგმა-გრაფიკის ვადაგადაცილება, რის გამოც შპს „ელიტ ბილდერს გრუპს" მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ზე გაანგარიშებით, 77 დღიანი ვადაგადაცილებისათვის დაეკისრა პირგასამტეხლო დღეში 1435 ლარის და 18 თეთრის ოდენობით სულ, 110 508,86 ლარი (1435,18X77=110 508,86), რომლის გადახდაც მოპასუხემ აღარ მოახდინა.

1.3. მოპასუხე მხარის მიერ პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობის ნორმათა დარღვევით, რადგან იგი არის შეუსაბამოდ მაღალი. ამასთანავე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ხელშეკრულების ვადის დარღვევა გამოიწვია მხარისგან დამოუკიდებელმა გარემოებამ - უხვნალექიანმა ამინდებმა, რომელიც აღინიშნებოდა 2022 წლის 04,06,08,12,13 აპრილს.

შესაბამისად, უნდა გაუქმდეს სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ, 2022 წლის აპრილის 5 (ხუთი) დღეზე არამართლზომიერად დარიცხული პირგასამტეხლო 7 175,9 ლარის ოდენობით, ხოლო დარჩენილ 72 დღეზე დარიცხული შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო უნდა შემცირდეს 0.01 %-მდე **10333,44 ლარამდე.**

ამ თანხების გათვალისწინებით, სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტს, შპს „ელიტ ბილდერს გრუპის" სასარგებლოდ უნდა დაეკისროს, N208 ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების-100175,42 (92999,52+7175,9=100175,42) ლარის გადახდა.

1.4. 2020 წლის 13 ოქტომბერს, ცაგერის მუნიციპალიტეტსა და შპს ელიტ ბილდერს გრუპს"-ს შორის, აუქციონის გარეშე გამოცხადებული ელექტრონული NAT200012722 ტენდერის საფუძველზე დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N231 ხელშეკრულება, რომლის 1-ლი პუნქტით მოსარჩელე მხარემ აიღო ვადებულება განეხორციელებინა ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ სპათაგორში სოფლის ცენტრის, სკოლისა და ლეშკედის მიმართულების საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ხელშეკრულების დანართებისა და საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

ხელშეკრულების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების ღირებულებად განისაზღვრა 372439,63 ლარი, სამშენებლო სამუშაოების დასრულება და შესყიდვების ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო 2021 წლის 20 ივნისის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად განსაზღვრა 2021 წლის 31 დეკემბერი, ამასთან, 2020 წელს ასათვისებელმა თანხამ შეადგინა 105000 ლარი.

1.5. N231 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მასში შევიდა ცვლილებები, რომლითაც 2020 წელს ასათვისებელი თანხა განისაზღვრა 70000 ლარი. ასათვისებელი თანხის ცვლილების საფუძველზე დაკორექტირდა გეგმა-გრაფიკი, რის თაობაზეც მხარეთა შორის შედგა ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმებები 231-1, 231-2, 231-3.

1.6. შპს „ელიტ ბილდერს გრუპი" კეთილსინდისიერად ასრულებდა მხარეთა შორის 2020 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულების და მასში შესული ცვლილებების პირობებს, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტით, თუმცა მხარისაგან დამოუკიდებელი, ახლად გამოვლენილი გარემოებების, კერძოდ, უხვნექიანი ამინდების გამო, რომელიც აღინიშნებოდა 2021 წლის 22, 24, 25, 27 ივლისსა და 02, 08, 09, 10, 15.16.19, 20 აგვისტოს, ვერ შესრულდა სამუშაოები.

ნალექიანი ამინდის დროს შეუძლებელი იყო სამუშაოების, კერძოდ კი, ბეტონის დასხმის განხორციელება.

გარდა ამისა, მომწოდებელმა არ გაითვალისწინა მთავრობის მიერ ოფიციალური უქმე დღეებად გამოცხადებული 4-12 მაისის პერიოდი და არ გადაწია ვალდებულების შესრულების დრო.

1.7. მიუხედავად იმისა, რომ სოფელ სპათაგორში სამუშაოები დასრულდა ხელშეკრულებასთან და შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვასთან სრული შესაბამისობით, რაც დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტებითა და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნებით, სამუშაოებზე დაფიქსირდა გეგმა-გრაფიკის გადაცილება, რის გამოც შპს ,,ელიტ ბილდერს გრუპი"-ს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბანისად, 30 დღიანი ვადაგადაცილებისათვის დაეკისრა პირგასამტეხლო 11173,20 (372439.63X0.1%X30=11173,2) ლარი, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობას და მხრეთა შორის შეთანხმებულ პირობებს.

2. შესაგებლის საფუძვლები:

2.1. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ პირგასამტეხლოს დაკისრება განხორციელდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით წინასწარ შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით. რაც შეეხება ნალექის მოსვლას და მთავრობის 2021 წლის 16 აპრილის N175 დადგენილებით უქმე დღეების განსაზღვრას არ შეიძლება შეფასდეს ფორს-მაჟორად, რადგან მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ცნობით არ დასტურდება მითითებულ პერიოდში ცაგერის მუნიციპალიტეტში უხვი ნალექის მოსვლა. ასეც რომ იყოს, ნალექის მოსვლა გაუთვალისწინებელი გარემოება არ არის და ვერ ჩაითვლება ფორს-მაჟორად.

პირგასამტეხლოს შემცირების დასაბუთებისათვის მითითებული

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი პირგასამტეხლოს ოდენობასთან დაკავშირებით სარეკომენდაციო ხასიათისაა და არ წარმოადგენს სავალდებულო შესასრულებელ მოთხოვნას.

3. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

შემცირდა, 2020 წლის 13 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **N231** ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო 0,02%-მდე და პირგასამტეხლო განისაზღვრა 2234,63 ლარით;

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას, მის მიერ დაკავებული თანხიდან - 11173,20 ლარიდან, შპს ,,ელიტ ბილდერს გრუპის'' სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა - 8938,57 ლარის გადახდა;

შემცირდა, 2020 წლის 21 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **N208** ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო 0,02%-მდე და პირგასამტეხლო განისაზღვრა 22101,74 ლარით;

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას, მის მიერ დაკავებული თანხიდან - 110 508,86 ლარიდან შპს ,,ელიტ ბილდერს გრუპის'' სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა - 88 407,12 ლარის გადახდა;

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას, შპს ,,ელიტ ბილდერს გრუპის'' სასარგებლოდ დაეკისრა, მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის 268,15 ლარის და 2652,21 ლარის გადახდა (დაკისრებული თანხის 3%).

4. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას წარმომადგენელმა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

4.1. აპელანტის განმარტებით, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია. მასში ჩამოყალიბებული არგუმენტები ემყარება ფაქტების არასწორ გაგებას. რეალურად, გადაწყვეტილების შინაარსიდან არც კი ირკვევა, სასამართლომ შეაფასა, თუ არა საერთოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებები და თუ შეაფასა, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება.

4.2. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელე თავად

აღიარებს გეგმა - გრაფიკის დარღვევას და ეთანხმება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით შუალედურ მიღება-ჩაბარების აქტებზე ჩათვლილი პირგასამტეხლოს ოდენობას, რასაც ადასტურებს ხელის მოწერით.

4.3. სასამართლოს შეფასება უნდა მიეცა იმისთვის, რომ ხელშეკრულების დადების მომენტიდან, ხელშეკრულების ყველა პირობა, მათ შორის პირგასამტეხლოს ოდენობა ცნობილი და შეთანხმებული იყო მხარეთა შორის. ამავე დროს, პირგასამტეხლოს ოდენობა სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით დასაშვებ ოდენობასთან და პრაქტიკულად სტანტარტულია მსგავსი შინაარსის ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ოდენობასთან, რაც ცალსახად ადასტურებს, რომ მოსარჩელისათვის კანონმდებლობის ნორმათა სრული დაცვით მოხდა პირგასამტეხლოს დარიცხვა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სამოტივაციო ნაწილი:

5. სააპელაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ არ არსებობს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

5.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

5.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

5.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ.

6. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებულ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს, დამატებით დადგენილად მიიჩნევს და მიუთითებს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

6.1. 2020 წლის 21 სექტემბერს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი თ200009919, რომლის ფარგლებშიც ყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ცაგერის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი დანიშნულების ქ. ცაგერისა და სოფელ გვესოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციო სამუშაოები.

აღიშნული ტენდერის ფარგლებში ხელშეკრულება დაიდო შპს „ელიტ ბილდერს გრუპთან" კერძოდ, 2020 წლის 21 სექტემბერს ცაგერის მუნიციპალიტეტსა (ს/ნ 574460, შემდგომში „შემსყიდველი") და შპს „ელიტ ბილდერს გრუპს" (ს/კ 402035855, შემდგომში „მიმწოდებელი") შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **N 208 ხელშეკრულება.**

6.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N208 ხელშეკრულების მე-2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 1 435 178 ლარი, ხოლო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ 2021 წლის 07 დეკემბრის შეთანხმების აქტით, სამუშაოთა შესრულების ვადად განისაზღვრა 2020 წლის 21 სექტემბრიდან- 2021 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდი.

ამავე ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

6.3. მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ N208 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოები სრულად იქნა შესრულებული, თუმცა სამუშაოებზე დაფიქსირდა **გეგმა-გრაფიკის ვადაგადაცილება,** რის გამოც შპს „ელიტ ბილდერს გრუპს", ხელშეკრულების მე-

13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, 77 დღიანი ვადაგადაცილებისათვის დაეკისრა პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ანუ, დღეში 1435,18 ლარი სულ-110508,86 ლარი (1435,18X77=110 508,86).
(ტ.1.ს.ფ. 19-97).

6.4. 2020 წლის 13 ოქტომბერს, ცაგერის მუნიციპალიტეტსა და შპს „ელიტ ბილდერს გრუპი"-ს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **N231 ხელშეკრულება.**

ხელშეკრულების 1-ლი პუნქტით მოსარჩელემ აიღო ვალდებულება განეხორციელებინა ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ სპათაგორში სოფლის ცენტრის, სკოლისა და ლეშკედის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ხელშეკრულების დანართებისა და საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

6.5. N231 ხელშეკრულების 3.1 პუნქტის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დასრულება და შესყიდვების ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების დადებიდან 2021 წლის 20 ივნისის ჩათვლით

ხელშეკრულების 2.1 პუნქტით სამშენებლო სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 372439,63 ლარი, საიდანაც 2020 წელს ასათვისებელმა თანხამ თავდაპირველად შეადგინა 105000 (ასხუთი ათასი) ლარი, ხოლო ცვლილებების მიხედვით-70000 ლარი. ასათვისებელი თანხის ცვლილების საფუძველზე დაკორექტირდა გეგმა-გრაფიკი.

6.6 მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამუშაოები **სრული მოცულობით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში იქნა შესრულებული,** თუმცა სოფელ სპათაგორში განხორციელებულ სამუშაოებზე დაფიქსირდა **გეგმა- გრაფიკის გადაცილება**, რის გამოც შპს"ელიტ ბილდერს გრუპი"-ს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, 30 დღიანი ვადაგადაცილებისათვის დაეკისრა პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0,1% სულ-11173,20 (372439.63X0.1%X30=11173,2) ლარი.
(ტ.1.ს.ფ. 169-183).

7. მოცემული საქმეზე სამართლებრივი დასაბუთების მიზნით პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა

გამომდინარეობს 21.09.2020წ. N208 და 13.10.2020წ. N231 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (ნარდობის) ხელშეკრულებებიდან.

სარჩელითა და სააპელაციო საჩივრის ფარგლებში სადავოა პირგასამტეხლოს ოდენობა.

აპელანტის (მოპასუხე) პრეტენზია მიმართულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ მსჯელობის წინააღმდეგ, რომლითაც მიჩნეული იქნა, რომ გამართლებული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის კერძოდ, გეგმა-გრაფიკის ვადაგადაცილებისათვის, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ნაცვლად ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-სა, პირგასამტეხლოს სახით 0,02%-ის ოდენობით დაკისრება.

7.1. სადავო საკითხთან დაკავშირებით პალატა განმარტავს:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-418-ე მუხლების მიხედვით, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.

უნდა აღინიშნოს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას. ვალდებულების დარღვევამდე პირგასამტეხლო ემსახურება ვალდებულების შესრულების სტიმულირებას, ვინაიდან მოვალემ იცის, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მას მოუწევს გარკვეული საზღაურის გადახდა.

პირგასამტეხლო ატარებს პრევენციული და მინიმალური ზიანის ანაზღაურების ფუნქციას შესაბამისად, პირგასამტეხლო, რომელიც გადააჭარბებს ამ ოდენობას, იძენს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს სტატუსს.

მნიშვნელოვანია, რომ პირგასამტეხლო მოვალეს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, ვალდებულების დარღვევით კრედიტორმა ზიანი განიცადა თუ არა.

მართალია, კრედიტორს ენიჭება პირგასამტეხლოს უპირობოდ მოთხოვნის უფლება, მაგრამ მისი ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდეობასთან.

პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება.

შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული.

7.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. აღნიშნული მუხლი ემსახურება მხარეთა უფლებებ-მოვალეობების დაბალანსებას, რათა არ მოხდეს სამოქალაქო ბრუნვისათვის მიუღებელი და არაგონივრული ტვირთის მხარისათვის დაკისრება.

ეს ის იშვიათი გამონაკლისთაგანია, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას სასამართლოს მხრიდან დასაშვებად მიიჩნევს. თუმცა, ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება.

კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი" პირგასამტეხლო ექვემდებარება.

პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან და ა.შ.

ამასთან, პირგასამტეხლოს განსაზღვრისას, კეთილსინდისიერების პრინციპი (სკ-ის 115-ე მუხლი) ავალდებულებს მხარეებს, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა დაადგინონ იმ ფარგლებში, რომელიც არ სცდება ამ ინსტიტუტის დანიშნულებას და უფლების ბოროტად გამოყენების შედეგად შეუსაბამოდ მძიმე ტვირთს არ აკისრებს ხელშეკრულების მხარეს.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლო მიუთითებს მსგავსი კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (იხ.სუსგ ას-164-160-2016 28/07/2016წ.), სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში (სსკ-ის 319-ე მუხლი) დათქმული პირობის მიუხედავად,

ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს გათვალისწინება ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს. **საკასაციო სასამართლო მხარს უჭერს მიდგომას, რომ პირგასამტეხლო დაანგარიშებული იქნეს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან**.

7.4. პალატა განმარტავს, რომ მართალია, ხელშეკრულებით მხარეებმა შეათანხმეს პირგასამტეხლოს ოდენობა, თუმცა ისეთ ვითარებაში, როდესაც შპს ,,ელიტ ბილდერს გრუპმა" N208 და N231 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები შეთანხმებულ ვადაში სრულად შეასრულა, შესრულების ხარისხთან დაკავშირებით შემსყიდველს პრეტენზია არ გააჩნია და არც რაიმე სახის ზიანი არ წარმოშობია, ცალკეული სამუშაოს გეგმა-გრაფიკის ვადაგადაცილებისათვის მენარდისათვის ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრება ვერ იქნება ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული ოდენობა და გამოიწვევს კრედიტორის გამდიდრებას.

ამ მსჯელობის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკის, პირგასამტეხლოს ოდენობასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, რითაც დაეთანხმა პირგასამტეხლოს დაანგარიშების წესს, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომლითაც პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობად ჩაითვალა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე **ხელშეკრულებების მთლიანი ღირებულების 0.02%** დასაბუთებულია და არ არსებობს შპს ,,ელიტ ბილდერს გრუპისათვის" ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ, ამ თანხაზე მეტი ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი.

7.5. იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ შპს ,,ელიტ ბილდერს გრუპის" სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, აღნიშნული გარემოება, სსსკ-ის 386-ე მუხლის თანახმად, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

8. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სააპელაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი, მოიკვლია საქმეში არსებული მასალები, მოახდინა ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება მიაჩნია, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება.

9. საპროცესო ხარჯები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს (აპელანტს) გადახდება იმ მოთხოვნის პროპორციულად, რა ნაწილშიც არ დაკმაყოფილდა სარჩელი, ხოლო მოპასუხეს (მოწინააღმდეგე მხარეს), სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული; თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ვინაიდან, სსსკ-ის 46.2 მუხლისა და სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „უ" ქვეპუნქტის თანახმად, აპელანტი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, მიუხედავად იმისა, რომ არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი, არ არსებობს სსსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო წარმოებისათვის, აპელანტისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ
დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. დარჩეს უცვლელად, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2023 წლის

25 აპრილის გადაწყვეტილება;

3. აპელანტი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო წესით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესების დაცვით, მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ჩაბარებიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მეშვეობით;
5. განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება განჩინების გამოცხადებას, ან მისთვის ცნობილია განჩინების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს განჩინების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება განჩინების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია;
6. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის სასამართლო განჩინების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მოსამართლეები: **ირმა პერანიძე**

მალხაზ ჩუბინიძე

ინდირა მაშანეიშვილი